საქართველოს კანონი

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №46, 22.12.2009, მუხ. 346) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნოტარიუსის თანამდებობა შეიძლება ამ კანონით დადგენილი წესით დაიკავოს საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა და აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) გავლილი აქვს სტაჟირება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ დადგენილი პროგრამით;

ბ) აქვს ნოტარიუსად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი;

გ) აქვს ნოტარიუსის თანაშემწედ მუშაობის 5 წლის სტაჟი;

დ) აქვს საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.“.

2. 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პირი, რომელსაც სურს გახდეს ნოტარიუსობის კანდიდატი, გაივლის სტაჟიორთა კონკურსს. სტაჟირების გავლისგან თავისუფლდება პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ პირობას. კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში პირს სტაჟირებისათვის გზავნის საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, რის თაობაზედაც ინფორმაციას აწვდის იუსტიციის სამინისტროს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**